ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 09

28 ივლისი 2023 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2023 წლის 28 ივლისს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, გურამ ჩხეიძე, ნინო კვირიკაძე, მაკა მესხი, მაია კბილაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, ზვიად გუმბერიძე, ვლადილერ წიქორიძე, გვანცა გრძელიძე, ზაზა ზივზივაძე, ირაკლი გოგსაძე, შადიმან გორგოძე.

სულ: 24 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ჯუმბერ რობაქიძე, შალვა მშვილდაძე, დიომიდე კიკნაველიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მალხაზ მშვილდაძე- მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

თამთა ღვალაძე - მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი .

ნინო რობაქიძე - .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების გაერთიანების დირექტორი.

მინდია კიკნაველიძე-მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

უჩა გელხვიიძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

თამთა ჯიხვაძე- საქართველოს პარლამენტის წერის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

ანა ქორიძე - გაზეთი „ჩემი გაზეთი"-ს რედაქტორი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე რომელმაც საკრებულოს სხდომას წარუდგინა დღის წესრიგის საკითხები.

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2022 წელში და 2023 წლის პირველ ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. მალხაზ მშვილდაძე- მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2022-2023 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ნინო რობაქიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების გაერთიანების დირექტორი.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების" რეორგანიზაციის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს.თამთა ღვალაძე - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი.

თანამომხსენებელი: მინდია კიკნაველიძე-მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი.

ნინო რობაქიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

თანამომხსენებელი ნოდარ ებანოიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 24 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2022 წელში და 2023 წლის პირველ ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა, **მალხაზ მშვილდაძე- მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.**

აზრი გამოთქვეს: კახა კოხოძემ, გიორგი კოტორეიშვილმა, გურამი ჩხეიძემ, სიმონ ჭოლოკავამ, ნოდარ გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N38 განკარგულება:g-67.6723209001 თარიღი:28/07/2023 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2022-2023 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

გაერთიანების მიერ 2022-2023 სასწავლო წელს გაწული მუშაობის შესახებ ანგარიში საკრებულოს წევრებს გააცნო, ნინო რობაქიძემ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების გაერთიანების დირექტორი.

აზრი გამოთქვეს: ნინო კვირიკაძემ, ირაკლი გოგსაძემ, თეა გოგნაძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, მაია კბილაშვილმა, გურამი კიკნაველიძემ, მურად ბურჯანაძემ, ნოდარი გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოცისლურ საკითხთა და ახალგაზრდეულ საქმეთა კომისაზე ანგარიშის მოსმენის შესახებ **ინფორმაცია ბიუროს წევრებს მიაწოდა კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N39 განკარგულება:გ-67.67232092 თარიღი:28/07/2023 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ რეორგანიზაციის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრება და არგუმენტები გაერთიანების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ბიუროს წებრებს გააცნო, თამთა ღვალაძემ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი.

აზრი გამოთქვეს: ნინო კვირიკაძე,მაკა მესხმა, ვლადიმერ წიქორიძემ, გია სახამბერიძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, ნოდარ გიორგიძემ.

ნინო კვირიკაძე - საკრებულოს წევრი პ/გაერთიანება „გახარია-საქართველოსათვის“ წევრი, როგორც მან აღნიშნა, რომ „თავშივე შეცდომა იყო ბაღებთან სხვა სტრუქტურების მიერთება, რადგან არც თემატურად და არც სტრუქტურულად გამართლებული არ იყო თავის დროზე ა.ა.ი.პ.-ის ამ ფორმით შექმნა“. მან ღიად დაუჭირა მხარი გაერთიანების რეორგანიზაციის დაწყებას.

მაკა მესხი - საკრებულოს წევრი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობა, როგორც მან აღნიშნა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, როცა განიხილებოდა გაერთიანების შექმნის საკითხი იგი კატეგორილი წინააღმდეგი იყო მისი ამ ფორმით ჩამოყალიბების, მისთვის მისაღებია გაერთიანების რეორგანიზაციის დაწყება, მაგრამ მიუღებელია დაყოფის შემდეგ სამი ა.ა.ი.პ-ის შექმნა, რის გამოც იგი მხარს არ დაუჭერს წარმოდგენილ პროექტს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N40 განკარგულება:გ-67.67232093 თარიღი:28/07/2023 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 18 წინააღმდეგი- 1(მაკა მესხი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: ვლადიმერ წიქორიძემ, იოსებ კვირიკაშვილმა, ალექსანდრე ფახურიძემ, ნინო ფურცელაძემ, ზვიად გუმბერიძემ)

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ.
საკრებულოს აპარატში სტაჟირების წესთან დაკავშირებით ინფორმაცია ბიუროს წევრებს მიაწოდა, ნოდარ ებანოიძემ- საკრებულოს აპრატის უფროსმა.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N10 დადგენილება:დ-67. 6723209001 თარიღი:28/07/2023 (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე